ახლოვდება საქართველოს კომკავშირის 50 წლისთავი

დიდსეული შეხვედრა ამ სახელოვან იუბილეს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 ივლისი პარასკევი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 173 (15083)

უძღვნიან იუბილეს

ეს კომკავშირელი ქალიშვილები ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში მუშაობენ. მზია ბარდაველიძე და ნაილი მუმლაძე ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშები არიან, ხოლო მაგული ლეკიშვილი გეგეჭკორის რაიონის სოფელ დიდი ჭყონის საბჭოთა მეურნეობაში გულმოდგინედ უწის ჩაის საკრეფი მანქანის „საქართველოს“ საკენ. მაგრამ სამივე ქალიშვილს ერთი მიზანი ამოძრავებს — განამტკიცონ სამშობლოს ეკონომიური ძლიერება.

მზია ბარდაველიძემ და ნაილი მუმლაძემ შრომითი ცხოვრება სკოლის დამთავრების შემდეგ ერთდროულად დაიწყეს, მალე სრულუფლებად დაეუფლნენ კალაპოტზე მასალის გადაკერვას და ცვლის დავალებებს სისტემატურად გადამეტებით ასრულებენ. მაგული ლეკიშვილი კი „მწვანე ოქროს“ ახვავებს. მას უკვე მოკრეფილი აქვს 18 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. თავიანთ შრომითს წარმატებებს ეს ქალიშვილები საქართველოს კომკავშირის იუბილეს მიუძღვნიან.

სურათებზე: ზემოთ — მაგული ლეკიშვილი; ქვემოთ — მზია ბარდაველიძე და ნაილი მუმლაძე.

ფოტო ბ. ბერსამინისი (საქდესის ფოტოქრონიკა) და ბ. ჯაფაროვისა.

საქართველოს კომკავშირი

ორი თვეც, და საქართველოს კომკავშირი თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს შეეგებება.

ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ამ ერთ-ერთი უძველესი და მებრძოლი რაზმის 50 წელი ორმოცდაათი შესანიშნავი ფურცელია კომკავშირული ბიოგრაფიისა, რომლისთვის ბრძოლაშიც გამოიწრთო ჩვენი რესპუბლიკის ასეულათასობით ახალგაზრდა. ამიტომ ამ ღირსახსოვარ დღეებში სრულიად სამართლიანად თვლიან თავიანთ თავს იუბილარად არა მარტო ახალგაზრდები, არამედ ხალხის უფროსი თაობის წარმომადგენლებიც, რომლებმაც კომკავშირული აღზრდის საუკეთესო სკოლა გაიარეს.

როგორ იზარდა!

თუ დაარსების წელს საქართველოს კომკავშირი 2.300 ახალგაზრდას აერთიანებდა, ახლა მისი რიგები ითვლის თითქმის ნახევარ მილიონ ქალაშვილსა და ბაბუკს.

ყოველი დრო აყენებდა თავის ამოცანებს და ჰყავდა თავისი გმირები. ასე იყო სამოქალაქო ომის ცეცხლოვან დღეებში, დიად ხუთწლედებში, დიდი სამამულო ომის დროს და აღდგენითს პერიოდში. კომკავშირელები ებრძოდნენ და იმარჯვებდნენ კომუნისტური შენებლობის ყველა უბანზე, ამრავლებდნენ ხახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს.

საქართველოს კომკავშირის რიგებში იჭედებოდა გმირობა ზოია რუხაძისა, შოთა გამცემლიძისა, გრიგოლ ხხოლუნიასი და მრავალი სხვა პატრიოტისა, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს სამსხვერპლოზე მიიტანეს.

პარტია განსაკუთრებულ იმედს ამყარებს კომკავშირზე, მთელ ახალგაზრდობაზე ახლა, როცა საბჭოთა ეკონომიკა თავისი განვითარების ახალ ეტაპში შევიდა. და საქართველოს ჭაბუკები და ქალიშვილებიც დიდრაზნენ პარტიის XXIV ყრილობის წინასწარგანზრახულობათა შესასრულებლად. ისინი იქ არიან, სადაც სიძნელეებია: შეუფრეკლად დგანან მარტენის გავარვარებულ ღუმელთან, აპყავთ ახალშენებლობათა ხარაჩოები, დანავარდობენ მაერსა და ზღვაში, მკლავმოულელად შრომობენ მინდვრებში, ხეხილის ბაღებში, ვენახებსა და პლანტაციებში. საგულისხმოა, რომ საქართველოს კომკავშირელთა ნახევარზე მეტი მატერიალური წარმოების სფეროშია დასაქმებული. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მუშაობს რამდენიმე ათასი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა და რგოლი. სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში არიან თბილისის, რუსთავის, ქუთაისის საქალაქო, თელავის, მახარაძის, ცხაკაიას რაიონული და სხვა კომკავშირული ორგანიზაციები.

ახალგაზრდა მუშებმა, კოლმეურნეებმა და სპეციალისტებმა გაშალეს მასობრივი შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად. ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, ტყიბულის საქალაქო კომკავშირულ ორგანიზაციებში სულ უფრო იკრების ძალას წარმოების ახალგაზრდა მოწინავეთა მოძრაობა ხუთწლედის პირადი გეგმების განაღდებლად. დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კომკავშირელებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი 1971 წლის დავალებათა ვადამდე შესახრულებლად. რუსთავის შრომის წითელდროშოვანმა საქალაქო კომკავშირულმა ორგანიზაციამ მოაწყო მასობრივი ლაშქრობა-შეჯიბრება „თვითეულისაგან — შრომის მაღალი ნაყოფიერება“.

ახალი შესანიშნავი ინიციატივით გამოვიდნენ კომკავშირელები: რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მგრეხავი, სოციალისტური შრომის გმირი ელ. კოწიწაშვილი, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. არაფანაშვილი და სხვები. მათ ვალდებულება იკისრეს მაღალნაყოფიერად გამოიყენონ თვითეული წუთი და ხუთდღიანი საწარმოო დავალება ოთხ დღეში შეასრულონ. ეს შესანიშნავი თაოსნობა მხურვალედ მოიწონეს და მას მხარი დაუჭირეს რესპუბლიკის მრავალი საწარმოს კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა.

კომკავშირი სოფლის ახალგაზრდობის ძალებს წარმართავს პროდუქტების სიუხვის შექმნისაკენ. მარტო საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგში — მეჩაიეობაში მუშაობს 400-ზე მეტი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა. რესპუბლიკის კომკავშირელები მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვებ ბაზის შექმნის ინიციატორები არიან.

კომკავშირული ორგანიზაციები ავითარებენ ახალგაზრდობის ინიციატივასა და აქტივობას, ზრდიან მასში პროფესიისადმი სიყვარულს, საერთო საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობას.

დიდ საქმეებს აკეთებს რესპუბლიკის ახალგაზრდობა დამკვრელურ კომკავშირულ მშენებლობებზე.

წარმატებებით გვახარებს ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენცია — მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, თეატრისა და კინოს მოღვაწენი.

მოწინავე კომკავშირელებს მხარს უსწორებს ასეულათასობით ახალგაზრდა, რომლებიც პრაქტიკულ სამუშაოზე კომუნიზმის აქტიურ მშენებლებად იწრთობიან.

რესპუბლიკის კომკავშირი წყვეტს ახალგაზრდა თაობის ფორმირების საკითხს. აქედან არის მიმართული მისი იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობის მთელი არსენალი. კომკავშირი უფრთხილდება და ავითარებს ინტერნაციონალური ძმობის ტრადიციებს.

და ახლა, იუბილეს წინ, როცა თვალს ვავლებთ საქართველოს კომკავშირის მიერ გასვლილ სახელოვან გზაა, ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ დიდი ლენინის ბრძნული სიტყვები იმის შესახებ, რომ სადღესასწაულო თარიღების აღნიშვნის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა ყურადღება გავამახვილოთ ჯერ კიდევ გადაუწყვეტელ საკითხებზე. ასეთი საკითხები კი არც თუ ცოტაა.

წინ არის ახალი მიჯნები, რომლებიც მეცხრე ხუთწლედში უნდა ავიღოთ. ამიტომ ახლა როგორც არასდროს, იზრდება თვითეული ადამიანის პასუხისმგებლობა საზოგადოებაში თავისი როლისათვის, ადამიანის ადგილისათვის. აქედანვე გამომდინარეობს კომკავშირის მთავარი ამოცანაც — ახალგაზრდობის აღზრდა მაღალი შეგნებულობის, პასუხისმგებლობის, კომუნიზმის საქმისადმი ურყევი რწმენის სულისკვეთებით. საქმე ეხება იმას, რომ გამოვნახოთ გზები წარმოებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში კომკავშირელთა წამყვანი როლის ასამაღლებლად, ყოველ ახალგაზრდა ადამიანს გავუღვივოთ შეგობრებითი შრომის წყურვილი.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება ახალგაზრდობასთან მუშაობისათვის, მისი შრომითი და იდეური აღზრდისათვის, რაზედაც ბაზგასმით მიგვითითებენ პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმეთის გადაწყვეტილებანი. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირის ძლიერების წყაროა. ამასთან პარტიული ორგანიზაციები კომკავშირელთა მოღვაწეობის ჭეშმარიტ მეურვეობას კი არ უნდა ეწეოდნენ, არამედ აღუკვდნენ ახალგაზრდობის ინიციატივისა და თვითმოქმედების ყოველმხრივ განვითარებას, კომკავშირული ორგანიზაციების ყველა რგოლის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, თვითეული კომკავშირელის აქტივობას.

ამდენად მთავარი ამოცანა ის არის, რომ იუბილეამდე დარჩენილი დრო ნაყოფიერად გამოვიყენოთ, ღირსეულად შევხვდეთ ამ ბრწყინვალე თარიღს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ხუთწლედი—ვადამდე!

● **თბილისი.** ლითონდამამუშავებელი საწარმოებისათვის მთავარია საჭიელი იარაღები. ეს ხელსაწყოები თბილისის საინსტრუმენტო ქარხანაში (დირექტორი პ. ეაშაკიძე) მზადდება და იგზავნება საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში.

● **თბილისი.** № 3 წისქვილ-კომბინატის (დირექტორი გ. ჯორჯიაშვილი) კოლექტივმა, რომელმაც ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ფართოდ გაიაზა სოციალისტური შეჯიბრება გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. შვიდი თვის

თავდადებული შრომით

პროდუქციის რეალიზაციის დავალება 10 ივლისისათვის შეასრულა და გეგმის გადამეტებით 650 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია მოახდინა. რესპუბლიკის პურის ქარხნის გეგმის გადამეტებით 241 ტონა ფქვილი გაუგზავნა.

დაწინაურდნენ და შრომაში მოსაბაძ მაგალითს იძლევიან ბრიგადები, რომლებსაც ი. კარელოვი, გ. ნადირაძე, ზ. კოტბერიძე, კ. რეხვიაშვილი ხელმძღვანელობენ.

● **ქუთაისი.** (საკ. კორ.). საოკომოტივო დეპოს კოლექტივი თავდადებულად შრომობს ტვირთზიდვის წლიური დავალების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. რკინიგზელებმა განვლილ ექვს თვეში ტყიბულ-ქუთაისის ორთოფოსფორიანი შენაწის 913 მძიმეწონიანი მატარებელი გადაიყვანეს და გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 102 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

ელმავლის მძიმეწონისანმა მემანქანემ ა. მახარაძემ 65 დიდტვირთიანი შემადგენლობა გადაიყვანა და 7.215 ტონა ზეგეგმითი ტვირთი გადაზიდა. მემანქანე ი. გოგოხიას ანგარიშზეა 64 მძიმეწონიანი მატარებელი და გეგმის ზევით გადაზიდული 7.035 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

დეპოს კოლექტივმა 148 პროცენტით შეასრულა საშუალო სადღეღამისო გარბენის დავალება და ნორმასთან შედარებით საათში 0,82 კილომეტრით გაადიდა ტექნიკური სიჩქარე.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXV სესია

ბუქარესტი, 29 ივლისი. (საკ. დესი). გუშინ ბუქარესტში რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. გ. მაურერის თავმჯდომარეობით მუშაობას განაგრძობდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXV სესია.

პლენარული სხდომის დაწყებისაში რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ გ. რედულესკუმ გააკეთა ინფორმაცია სესიის მეორე დღეს გახსახილველად წარმოდგენილი მასალების შესახებ.

მასალების განხილვისას გამოვიდნენ ესესიის მონაწილე დელეგაციების მეთაურები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ხ. ტოდოროვი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჟ. ფოკი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხ. ლუვსანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პ. იაროშევიჩი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. მაურერი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ა. გრლიჩკოვი.

სხდომაზე გამოვიდა აგრეთვე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მდივანი ნ. ვ. ფადეევი.

შემდეგ გ. რედულესკუს თავმჯდომარეობით გაიმართა სარედაქციო კომისიის სხდომა სესიის დოკუმენტების პროექტების შესამუშავებლად.

შეხვედრა კაიროში

კაირო, 29 ივლისი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. გ. მაურერი.

ბ. ნ. პონომარიოვის გამოსვლა კაიროს ტელევიზიით

კაირო, 29 ივლისი. (საკდესი). კაიროს ტელევიზიით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, მეთაური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციისა, რომელიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში ჩამოვიდა, რათა მოხაწილეობა მიეღო არაბთა სოციალისტური კავშირის საყოველთაო ეროვნული კონგრესის მუშაობაში და ივლისის რევოლუციის 19 წლისთავის დღესასწაულში.

საბჭოთა კავშირი, თქვა ბ. ნ. პონომარიოვმა, ყოველმხრივ დახმარებას უწევს განთავისუფლებულ სახელმწიფოთა ხალხებს, ბტკიცედ და გულწრფელად უჭერს მხარს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის ურთიერთობის განვითარებაში ახალი დადმნიშვნელოვანი ეტაპი იყო, ხაზგასმით აღინიშნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება, რომელიც „შეესაბამება ჩვენი ხალხების ძირეულ ინტერესებს, საფუძველს ქმნის იმისათვის, რომ კიდევ უფრო გავაფართოოთ და გავაღრმავოთ თანამშრომლობა პოლიტიკურ, ეკონომიურ, თავდაცვითს და სხვა დარგებში“.

ХИЛДОЕБИ

გადაეცათ ესტონეთში ქართული კულტურის დღეების მონაწილეებს

ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მაღალი მხატვრული ოსტატობისა და ნაყოფიერი საქმიანობისათვის, რაც ხელს უწყობს შრომელთა აღზრდას ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, ესტონეთში ქართული კულტურის დღეების წარმატებით მოწყობისათვის დაჯილდოდა ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით კულტურის დღეების მონაწილე ცხრა ორგანიზაცია და შემოქმედებითი კოლექტივი და ოცდაოთხ მონაწილე.

ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები გადაეცათ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, მწერალთა კავშირს, კომპოზიტორთა კავშირს, მხატვართა კავშირს, კინემატოგრაფისტთა კავშირს, ფერწერალისტთა კავშირსა და საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს. სიგელებით დაჯილდოებული არიან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კოლექტივები — ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „დიელო“ და „ივერია“, რუსთავის ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „ხალხინო“, აგრეთვე საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით, კამერული ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი და რესპუბლიკის სურათების სახელმწიფო გალერეა.

დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს სსრ და უკრაინის სსრ სახალხო არტისტი, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი დ. ალექსიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ამირანაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი თ. სამსონაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ამირანაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ანდღულაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ი. არდაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გ. ბარნაბიშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი თ. გაბარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გოგიჩაიშვილი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ე. ვირახალაძე, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი მ. ზლოტოლინსკაია, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. იაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლ. ისაკაძე. სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ლ. ლომბერგი, მოქანდაკე ო. მელიქიშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. მდივანი, გაზეთ „კომენსტის“ რედაქტორი, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ო. პაპიაშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნ. რამიშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი თ. სამსონაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. სუხიშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ტუღუში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე დ. ჩხეკვაშვილი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი კ. ჭანკვეტაძე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ზ. ხუროძე.

ესტონეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი ესტონეთში ქართული კულტურის დღეების მონაწილეთა ესტონეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ გამოქვეყნებული იყო ესტონეთის ყველა გაზეთში. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ინფორმაციის დღე

29 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი ინფორმაციის დღე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსმა გ. ფორფიკაშვილმა საინფორმაციო მოხსენება გააკეთა 1970 წელს სსრ კავშირის მოსახლეობის აღწერის ზოგიერთი შედეგის შესახებ.

სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის მიმდგომი განვითარების შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საელჩოს პირველმა მდივანმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში რ. მჭედლიძემ. (საქდესი).

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

მაისრმ დღეა კრემლის დიდ სასახლეში რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები იხილავენ სახალხო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის დიდხანმეზელოვან ამოცანებს სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების დარგში.

29 ივლისის დილის სხდომაზე მოხსენება გააკეთა სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. ჯ. ტრანშმმა.

რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ სამანდატო კომისიის მოხსენების გამო ერთსულოვნად მიიღო დადგენილება, რომელმაც ცნო რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ყველა 894 დეპუტატის რწმუნებულებანი, რომლებიც არჩეული არიან 1971 წლის 13 ივნისს.

შემდეგ გაგრძელდა კამათი რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ა.

შეწყდეს ძალადობა!

■ სუდანში გრძელდება სისხლიანი ტერორი

■ მსოფლიოს საზოგადოებრიობა აღშფოთებულია

ი. ცირანკევიჩის წერილი

ვარშავა. ივლისი. (საქდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა წერილი გაუგზავნა გენერალ დ. ნიმეირის, რომელშიც ნათქვამია, რომ პოლონელი ხალხი დიდი გულისტკივილით ადევნებს თვალყურს სუდანის ამბებს და დიდ შეშფოთებას გამოთქვამს პროგრესული და დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ რეპრესიების გამო.

დემონსტრაცია პარიზში

პარიზი. 29 ივლისი. (საქდესი). აქ გაიმართა საფრანგეთის შრომელთა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია სუდანის კომუნისტების, პროფკავშირული მოძრაობის აქტივისტებისა და დემოკრატების მიმართ სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ.

დემონსტრაციაში, რომელიც გაიმართა საფრანგეთის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მოწოდებით, მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საფრანგეთის სხვა დემოკრატიულმა და პროგრესულმა ორგანიზაციებმა.

მანიფესტანტებმა დაგმეს სუდანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ა. ჰ. მაჰჯუბისა და სუდანის მუშათა პროფკავშირების ფედერაციის გენერალური მდივნის აჰმედ აშ-შეიხის მკვლელები, მოითხოვეს, რომ შეწყვიტონ სისხლისღვრა სუდანში და გაათავისუფლონ დაპატიმრებული პატრიოტები და დემოკრატები.

კვიპროსელთა გულისწყრომა

ნიკოზია. 29 ივლისი. (საქდესი). კვიპროსის შრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა ეზეკიას პაპაიოანუმ კვიპროსელ შრომელთა სახელით გულისწყრომა გამოთქვა სუდანში მასობრივი დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

გენერალ ნიმეირისადმი გაგზავნილ დეპეშაში მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს რეპრესიები ახარებს მხოლოდ სუდანის უბოროტეს მტრებს, რადგან ისინი ასუსტებენ ამ ქვეყნის ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ხართუმის საპატიმროებში

კაირო, 29 ივლისი. (საქდესი). სუდანის ინფორმაციის მინისტრმა მაჰრ ელ-ჰაჯ მუსამ ხართუმში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამჟამად დაპატიმრებულია ათასზე მეტი სამოქალაქო პირი და რამდენიმე ასეული სამხედრო მოსამსახურე, იუწყება მენის საagენტო, გენერალმა ჯაფარ ნიმეირიმ გამოსცა პრძანება „გამოძიების დაჩქარების შესახებ“.

პარიზი. 29 ივლისი. (საქდესი). სიტყვა „შეწყალება“ ამოღებულია დღეს სუდანის ლექსიკონიდან, წერს ფრანს პრესის საagენტოს კაიროელი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ხართუმში მოძმდარი ამ ბოლოდროინდელი სისხლისმღვრელი ამბების თვითმხილველებს. მოწმეთა ეს აზრი წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა გაქანებითა და სისასტიკით წარმოებს რეპრესიები, რომლებიც მიმართულია ქვეყნის კომუნისტთა წინააღმდეგ.

თვით ხართუმში საპატიმროები სავსეა პატიმრებით. ახლად დაპატიმრებულთა ჯგუფები, წერს კორესპონდენტი, მიჰყავთ სამხედრო უყზარმებში, რომლებიც პატიმრობის ადგილებად არის გადაქცეული.

კომენდანტის საათი კვლავ რჩება ხართუმში, თუმცა რამდენადმე შემცირებული. სუდანის ხელისუფალნი კვლავ გამალებით ეძებენ სუდანის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეებს. კომუნისტთა და მათი თანამგრძნობი პირების წინააღმდეგ თავის კამპანიაში, აღნიშნავს ფრანს პრესის საagენტოს კორესპონდენტი, ისინი განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ ქვეყნის მუსლიმანური რელიგიური სექტებისა და რეაქციული ელემენტების ხელშეწყობაზე.

პარიზი. 29 ივლისი. (საქდესი) სისხლისმღვრელი რეპრესიები, რომლებიც თავს ატყდება სუდანელ კომუნისტებს, პარიზის პრესის დიდ აღშფოთებას იწვევს.

„როგორც ჩანს, სულ უფრო ნათელი ხდება, — წერს გაზეთი „ფიგარო“, — რომ სუდანის კომუნისტური პარტია და მისი გენერალური მდივანი აბდელ ჰალეკ მაჰჯუბი თვითონ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ ამ აშკარა სამხედრო შეთქმულების მოზაღებაში.

ნიმეირი სიკვდილით სჯის არა მარტო ამბოხების მონაწილეებს, არამედ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს და ამასთან მეტად საზიზღრად, ჩამოხრჩობით. „კუდიანებზე ნადირობა“ გიგანტურ საშინელ ანგარიშის გასწორებად გადაიქცა.

რეპრესიები გრძელდება

ნიუ-იორკი. 29 ივლისი (საქდესი). როგორც დასავლეთის საინფორმაციო საagენტოები იუწყებიან სუდანში გრძელდება სუდანის კომუნისტური პარტიის წევრთა დაპატიმრებანი.

განვლილ დღე-ღამეში დაპატიმრეს 24 კომუნისტი. მათ შორის არის სპბინაო მშენებლობის მინისტრის ყოფილი მოადგილე სალაჰ მაზარი.

დაპატიმრებთა კამპანიას თან სდევს ადგილობრივ პრესაში იმ პირების სიების გამოქვეყნება, რომლებსაც ხელისუფალნი ეძებენ. მათ ფოტოსურათებს უჩვენებენ ხართუმის ტელევიზიით.

ბერლინი

არღვევენ ადამიანთა უფლებებს

29 ივლისი. (საქდესი). გამოქვეყნდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნოს განცხადება სუდანის ამბების გამო.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, ნათქვამია განცხადებაში, ღრმად შეაძრწუნა ცნობებმა, რომ სუდანის ხელისუფალნი სიკვდილით სჯიან და მასობრივად დევნიან ქვეყნის დემოკრატიულ ძალებს.

დაპატიმრებულთა შორის არის ფატმა აჰმედ იბრაჰიმი, ცოლი სუდანის მუშათა პროფკავშირების საყოველთაო ფედერაციის გენერალური მდივნის შაფი აჰმედ-აშ-შეიხისა, რომელიც სიკვდილით დასაჯეს, აგრეთვე ბევრი სხვა ქალი.

ფატმა აჰმედ იბრაჰიმი ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ბიუროს წევრი, სუდანელ ქალთა ფედერაციის თავმჯდომარე და ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, სოციალური პროგრესისათვის აქტიური მებრძოლია.

სუდანელ დემოკრატთა დევნა უდიდეს უბედურებას ატეხს თავს ათასობით ოჯახს, ქალსა და ბავშვს და უხეშად არღვევს ადამიანის ელემენტარულ უფლებებს, აცხადებს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის სამდივნო.

საქართველოს მშრომელთა ხმა

საპროტესტო მიტინგი

29 ივლისს თბილისის კიროვის სახელობის ჩახსამშენებლო ქარხანაში გაიმართა საპროტესტო მიტინგი იმის წინააღმდეგ, რომ ანგარიშს უსწორებენ სუდანელ კომუნისტებსა და სხვა პატრიოტებს.

მიტინგზე გამოვიდა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ა. შარაბიძე, რომელმაც განაცხადა: ხალხთა გამოცდილება, ისტორიის გამოცდილება მოწმობს, რომ ანტიკომუნიზმი დაუძინებელი მტერია დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალური პროგრესისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლისა.

სუდანის შავბნელი ძალების თვითნებობის წინააღმდეგ თავიანთი გულისწყრომა და აღშფოთება გამოსახეს მიტინგზე № 15 მექანიკური საამქროს უფროსმა ა. ბრეგგვაძემ, ინსტრუმენტული საამქროს მღარავმა თ. ჟღენტმა.

მიტინგის მონაწილეებმა საპროტესტო დეპეშა გაუგზავნეს სუდანის მოსკოვის საელჩოს, რომელშიც გმობენ სუდანის ხელისუფალთა მოქმედებას.

(საქდესი).

თავისუფლება პაპრიოტებს!

„დაუყოვნებლივ შეწყდეს თვითნებობა და სუდანელ პატრიოტების გასამართლება“, „თავისუფლება სუდანელ კომუნისტებს!“ ასეთი მოთხოვნა წამოაყენა ერთსულოვნად თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივმა სუდანელ ხელისუფალთა ტერორის წინააღმდეგ გამართულ მიტინგზე, რომელიც 29 ივლისს გაიმართა. (საქდესი).

გადაჭრით მოითხოვენ

სოხუმი, 29 ივლისი, (საქდესის კორ.). აფხაზეთის მშრომელთა აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს ამჟამად სუდანში გამეფებული სისხლიანი ტერორი კომუნისტებისა და დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ.

დღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში გაიმართა მეცნიერთა საპროტესტო მიტინგი სუდანელ ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გამოთქვამენ აღშფოთებასა და მრისხანე პროტესტს.

უმუშევრობასთან ბრძოლა ამერიკულად.

სურათზე: პოლიცია უსწორდება უმუშევართა დემონსტრაციის ერთ-ერთ მონაწილეს სანფრანცისკოში.

ფოტო გაზეთ „დეილი უორლდიდან“.

მიფრინავს „აპოლონ-15“

ნიუ-იორკი. 29 ივლისი. (საქდესი). მთვარისაკენ განაგრძობს ფრენას „აპოლონ-15“ კოსმოსური ხომალდი, რომელშიც არის სამი კოსმონავტი — დ. სკოტი, ა. უორდენი და დ. ირვინი.

14 საათსა და 35 წუთზე მოსკოვის დროით კოსმოსური ხომალდი მთვარიდან დაშორებული იყო 38.091 კილომეტრით.

დ. სკოტი და დ. ირვინი კიდევ ერთხელ გადავიდნენ ძირითადი ბლოკიდან მთვარის კაბინაში და კვლავ შეამოწმეს კაბინის საბორტო სისტემები. დასვენების შემდეგ კოსმონავტები მოემზადებიან სელენოცენტრულ ორბიტაზე გასვლისა და მთვარეზე დაჯდომისათვის.

როგორც ჰიუსტონის კოსმოსური ცენტრი იუწყება, ფრენა ნორმალურად მიმდინარეობს.

აპერიკამ შეწყვიტა საღაზეერო ფრენა ჩინეთის ტერიტორიაზე

ნიუ-იორკი. 29 ივლისი. (საქდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“. იმოწმებს, რა მთავრობის წყაროებს, დღის იუწყება, რომ შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტა ამერიკის პილოტირებული ჯაშუში თვითმფრინავებისა და უპილოტო ტელემართული თვითმფრინავების საღაზეერო ფრენა კონტინენტური ჩინეთის ტერიტორიაზე, რათა „თავიდან აიცილოს ინციდენტების შესაძლებლობა, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ ნიქსონის მომავალ გამგზავრებას პეკინში“.

კარიზი

„ოქროს ციებ-ცხელება“

29 ივლისი. (საქდესი). დასავლეთ ევროპის სავალუტო-საფინანსო ბაზრებს კვლავ „ოქროს ციებ-ცხელება“ შეეყარა.

გუშინ პარიზის ბირჟაზე ერთ კილოგრამიანი ოქროს ზოდი 7.450 ფრანკი ღირდა — ერთ სეანსში 35 ფრანკით გაძვირდა. ამ ბოლო ორ წელიწადში ეს ოქროს „რეკორდული“ ფასია.

ციებ-ცხელებაა აგრეთვე კაპიტალისტური სამყაროს უდიდეს სავალუტო-საფინანსო ბაზარზე — ლონდონის ბირჟაზე, სადაც უნცია ოქრო 41,9 დოლარამდე გაძვირდა. ციურიხის ბირჟაზე უნცია ოქრო 42 დოლარი ღირს.

მსოფლიო დღე

ეროვნული მიმოხილვა

ბელგრადი

იუგოსლავიის საკავშირო სკუპშჩინის სესია

29 ივლისი. (საქდესი). დღეს საკავშირო სკუპშჩინის სესიაზე იოსიპ ბროზ ტიტო კვლავ აირჩიეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტად 5 წლის ვადით.

კონსტიტუციის ამასწინანდელ შესწორებათა შესაბამისად რესპუბლიკის პრეზიდენტი ამავე დროს ხდება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის — ქვეყნის ახალი უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს თავმჯდომარეც.

არჩევის შემდეგ პრეზიდენტმა ტიტომ სკუპშჩინის სესიაზე სიტყვა წარმოთქვა. სესიაზე გამოცხადდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის შემადგენლობა. ექვსივე რესპუბლიკა პრეზიდიუმში წარმოდგენილია 3-3 წევრით, თვითეული ავტონომიური მხარე — ორი-ორი წევრით.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პრეზიდიუმის აღმასრულებელი ბიუროს წევრი მ. ტოდოროვიჩი არჩეულია იუგოსლავიის საკავშირო სკუპშჩინის თავმჯდომარედ.

ბოლოდ

● **პორტუგალიის** სამი ათასზე მეტმა თვალსაჩინო ლიტერატორმა ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწემ მოაწერა ხელი პეტიციას, რომელიც მოითხოვს ბეჭდვითი სიტყვის ცენზურის გაუქმებას სახელმწიფოში.

● **ლეიბორისტული** პარტიის ეროვნულმა აღმასკომმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ დიდი ბრიტანეთი შეუერთდეს „საერთო ბაზარს“ იმ პირობებით, რომლებსაც კონსერვატორთა მთავრობამ მიაღწია.

● **სენატორმა** უილიამ ფულბრაიტმა ბრალად დასდო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ მან კონგრესი ჩამოაშორა პოლიტიკის შემუშავებას.

● **დამთავრდა** ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის სპირო აგნიუს სამი დღის ოფიციალური ვიზიტი პორტუგალიაში. ეს იყო აზიის, აფრიკისა და ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მისი საინფორმაციო მოგზაურობის ბოლო ეტაპი.

● **ნეოფაშისტური** „წინააღმდეგობის აქციის“ წევრი ვაუბატონები თავს დაესხნენ გერმანელთა კომუნისტური პარტიის კელნის ორგანიზაციის შენობას, ჩამსხვრიეს ფანჯრები, კედლებზე დაჯდებნეს პროვოკაციული ლოზუნგები.

● **1975 წლისათვის** ჰოლანდიის სამხედრო ბიუჯეტი 7 მილიარდ გულდენამდე და მეტად უნდა გაიზარდოს, წერს გაზეთი „ალგემინ დაგბლადი“. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტს, რომელმაც უკვე 4 მილიარდ გულდენს მიაღწია, არ ეხება ხარჯების შემცირებისა და მკაცრი მომჭირნეობის გეგმები, რომლებიც ახალმა მთავრობამ გამოაცხადა. მეტიც, მთავრობას განზრახული აქვს მარტო 1972 წელს 305 მილიონი გულდენით გაზარდოს სამხედრო ხარჯები.

● **ბელგიაში** კვლავ ძვირდება ცხოვრება. 1970 წლის ივლისთან შედარებით სიძვირე გაიზარდა თითქმის 5 პროცენტით, ხოლო 1966 წელთან შედარებით — 19 პროცენტით და მეტად.

● **კოლუმბიის** მთავრობამ გამოაქვეყნა დეკრეტი ამერიკის „ჰილტონ ოტელ კორპორეიშნის“ სამშენებლო კომპანიასთან დადებულ ლ ი კონტრაქტების გაუქმების შესახებ. მიღებული დეკრეტი ბოლოს მოუღებს „ჰილტონ ოტელ კორპორეიშნის“ მაქინაციებს.

ფაქტები

ლონდონი

ასახლებენ არაბებს...

29 ივლისი. (საქდესი). ისრაელის ხელისუფლებამ მიიღეს გადაწყვეტილება გაასახლონ პალესტინელ ლტოლვილთა უდიდესი ბანაკის ჭაბელიის 30 ათასი ბინადარი, იუწყება რეიტერის საagენტო.

ახლა ამ ბანაკში ცხოვრობს 40 ათასამდე არაბი. პალესტინელ ლტოლვილთა 40 ოჯახი გუშინ გადაასახლეს ელ-არიშში, რომელიც სინაის ნახევარკუნძულზე მდებარეობს და ისრაელმა დაიპყრო 1967 წლის ივნისში.

წინათ დამპყრობლებმა უკვე გაასახლეს ამ ბანაკში მცხოვრებ ლტოლვილთა ასზე მეტი ოჯახი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახლო აღმოსავლეთის საagენტოს შენობის წინ პალესტინელი ლტოლვილთა დემონსტრაციები, რომლებიც პროტესტს აცხადებენ ამ უკანონო აქციის წინააღმდეგ.

დემონსტრაციებში მონაწილეობს ასობით ქალი და ბავშვი.

კინოფესტივალი

დელი, 28 ივლისი. (საქდესი). ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატის დედაქალაქ კალკუტაში მიმდინარეობს საბჭოთა ანტიფაშისტური ფილმების ფესტივალი.

ფესტივალის ხუთ დღეში მაყურებლები ნახავენ ფილმებს: „მიფრინავენ წეროები“, „ბალადა ჯარისკაცზე“, „ადამიანის ბედი“ და სხვა.

დაააპატიმრეს პატრიოტი ქალი

29. ივლისი. (საქდესი). იოჰანესბურგიდან მიღებული ცნობებით, გუშინ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოლიციამ დაიპატიმრა აფრიკის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე ვინი მანდელა.

მას შემდეგ, რაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულმა სასამართლომ კომუნისტური საქმიანობისათვის სამუდამო კატორღა მიუსაჯა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აკრძალული აფრიკის ეროვნული კონგრესის პარტიის ყოფილ ლიდერს, ვინის მეუღლეს ნელსონ მანდელას, პოლიციის ხელისუფალნი განუწყვეტლივ სასტიკად სდევნიან ამ მამაც ქალს.

იგი ბევრჯერ დაიპატიმრეს, მაგრამ სასამართლო გარჩევის დროს ირკვეოდა ხოლმე, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება პოლიციის მიერ შეთითხნილი მონაჭორი იყო.

მას შემდეგაც კი, როცა გასული წლის სექტემბერში უმაღლესმა სასამართლომ წლი-ნახევრის წინასწარი პატიმრობის შემდეგ სამხილის უქონლობის გამო წაყენებული ბრალდების ყველა პუნქტით გაამართლა ვ. მანდელა, პოლიციის ხელისუფლებმა ყოველად უსაფუძვლოდ ერთ თვეში გასცეს ბრძანება ხუთი წლით მისი შინაპატიმრობის შესახებ.

პოლიციის ამ განკარგულების თანახმად ხუთი შვილის დედას ვ. მანდელას უნდა ეცხოვრა მკაცრად შეზღუდულ პირობებში. მას წართმეული ჰქონდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ყოველგვარი საშუალება.

მაგრამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლები ამასაც არ დასჯერდნენ. ვ. მანდელას დაპატიმრება პოლიციის თვითნებობის ახალი აქტია, რომელიც მიზნად ისახავს გატეხონ მამაცი პატრიოტის ნება.

თეთრი სახლის მანევრი

ვაშინგტონი

29 ივლისი. (საქდესი). თეთრმა სახლმა გამოაცხადა, რომ 1 აგვისტოდან გადაყენებულია ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაური პარიზის მოლაპარაკებაზე ვიეტნამის შესახებ დ. ბრიუსი.

როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, პრეზიდენტმა ნიქსონმა დელეგაციის მეთაურად დანიშნა უილიამ პორტერი, ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ელჩი სეულში, რომელიც უნდა ჩამოვიდეს ვაშინგტონში „კონსულტაციისათვის“.

პოლიტიკური მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ გადაწყვეტილება ბრიუსის გადაყენების შესახებ ნიქსონმა მიიღო იმ მომენტში, როცა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობა გამოვიდა დიდმნიშვნელოვანი სამშვიდობო ინიციატივით.

კრიზისი მწვავდება

ვაშინგტონი. 29 ივლისი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა ძლიერ-დება მოითხოვნა კანონმდებლობით შეზღუდონ პრეზიდენტის რწმუნებულებანი ომის წარმოების საკითხებში. ამ მოთხოვნებს უერთდებიან მმართველი რესპუბლიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეებიც.

ასეთი საკანონმდებლო შეზღუდვების დაწესებას დაუჭირა მხარი რესპუბლიკელთა ლიდერმა სენატში ჰ. სკოტმა. გამოვიდა რა სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში, მან განაცხადა, რომ კონგრესს „უნდა ჰქონდეს უფლება“ კონსტიტუციის შესაბამისად მონაწილეობდეს ომის განხილვაში, თუ როგორ ებმება ქვეყანა ომში.

კონგრესმა კვლავ უნდა დაადასტუროს თავისი უფლებანი ამ დარგში, ხაზი გაუსვა მან. ეხება



ბელგრადი

იუგოსლავიის საკავშირო სკუპშჩინის სესია

29 ივლისი. (საქდესი). დღეს საკავშირო სკუპშჩინის სესიაზე იოსიპ ბროზ ტიტო კვლავ აირჩიეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტად 5 წლის ვადით.

კონსტიტუციის ამასწინანდელ შესწორებათა შესაბამისად რესპუბლიკის პრეზიდენტი ამავე დროს ხდება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის — ქვეყნის ახალი უმაღლესი სახელმწიფო ორგანოს თავმჯდომარეც.

არჩევის შემდეგ პრეზიდენტმა ტიტომ სკუპშჩინის სესიაზე სიტყვა წარმოთქვა. სესიაზე გამოცხადდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდიუმის შემადგენლობა. ექვსივე რესპუბლიკა პრეზიდიუმში წარმოდგენილია 3-3 წევრით, თვითეული ავტონომიური მხარე — ორი-ორი წევრით.

